

## დაქირავებულზე უპროცენტოდ გაცემული სესხი 2137

### ფაქტობრივი გარემოებები

საწარმომ 2015 წლის 1 იანვარს დირექტორზე გასცა უპროცენტოდ სესხი, რომელიც წლის ბოლომდე არ დაბრუნებულა.

#### I ვარიანტი:

საწარმომ 20%-იანი განაკვეთით დაანგარიშებული პროცენტის შესაბამისი თანხა ჩათვალა დირექტორის მიერ ხელფასის სახით მიღებულ სარგებლად, რომელიც შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაბეგრა გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადით. ასევე, პროცენტის თანხა ამავე ოდენობით ჩართო 2015 წლის ერთობლივ შემოსავალში და ამავე თანხით გაზარდა ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხელფასის ხარჯი.

#### II ვარიანტი:

საწარმომ 20%-იანი განაკვეთით გამოანგარიშებული პროცენტის შესაბამისი თანხა ჩათვალა დირექტორის მიერ ხელფასის სახით მიღებულ სარგებლად, რომელიც შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაბეგრა გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადით და ამავე თანხით გაზარდა ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხელფასის ხარჯი. ამასთან, სესხის სახეობის, ვადიანობის, უზრუნველყოფის სახის და სხვა პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული შესაბამისი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით გამოანგარიშებული პროცენტის სათანადო თანხა ჩართო 2015 წლის ერთობლივ შემოსავალში.

### შეფასება

სსკ-ის მე-15 მუხლის გათვალისწინებით, სესხის გაცემა განეკუთვნება ფინანსურ მომსახურებას.

სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ მომსახურების საბაზრო ფასი.

სსკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის მიერ სხვა პირისაგან ქონების ან სარგებლის მიღების შემთხვევაში ერთობლივ შემოსავალში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

სსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად, დაქირავებულის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა, როგორც სარგებელი, განიხილება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.01.2011 წ. №34 ბრძანებით, სსკ-ის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი დამტკიცებულია 20 პროცენტის ოდენობით.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადამხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია.

ნორმათა ერთობლიობიდან გამომდინარე საწარმოს მიერ უსასყიდლოდ (უპროცენტოდ) გაცემულ სესხზე, დაქირავებულის მიერ შესაძლებელია ერთობლივ შემოსავალში შესატანი თანხა განისაზღვროს 20%-იანი განაკვეთით.

შესაბამისად, ორივე ვარიანტში გადამხდელის მიერ განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების კორექტირების აუცილებლობა არ წარმოიშობა.

### ლონისძიებები

#### ორივე ვარიანტში:

პირის მიმართ დამატებით საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

- სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება იმ საწარმოების მიმართ, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგრვის ობიექტების მიხედვით
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 30 იანვრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

**ანოტაცია**  
**„დაქირავებულზე უპროცენტოდ გაცემული სესხი“ №2137**  
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საწარმოს მიერ დირექტორზე უპროცენტოდ სესხის გაცემის შემთხვევაში სარგებელზე საპროცენტო განაკვეთის მისადაგებისა და სარგებლის გადასახადებით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საწარმომ 2015 წლის 1 იანვარს დირექტორზე გასცა უპროცენტოდ სესხი, რომელიც წლის ბოლომდე არ დაბრუნებულა.

პირველ ვარიანტში საწარმომ 20%-იანი განაკვეთით დაანგარიშებული პროცენტის შესაბამისი თანხა ჩათვალა დირექტორის მიერ ხელფასის სახით მიღებულ სარგებლად, რომელიც შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაბეგრა გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადით. ასევე, პროცენტის თანხა ამავე ოდენობით ჩართო 2015 წლის ერთობლივ შემოსავალში და ამავე თანხით გაზარდა ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხელფასის ხარჯი.

მეორე ვარიანტში საწარმომ 20%-იანი განაკვეთით გამოანგარიშებული პროცენტის შესაბამისი თანხა ჩათვალა დირექტორის მიერ ხელფასის სახით მიღებულ სარგებლად, რომელიც შესაბამისი საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაბეგრა გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადით და ამავე თანხით გაზარდა ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი ხელფასის ხარჯი. ამასთან, სესხის სახეობის, ვადიანობის, უზრუნველყოფის სახის და სხვა პირობების გათვალისწინებით განსაზღვრული შესაბამისი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით გამოანგარიშებული პროცენტის სათანადო თანხა ჩართო 2015 წლის ერთობლივ შემოსავალში.

სსკ-ის მე-15 მუხლის გათვალისწინებით, სესხის გაცემა განეკუთვნება ფინანსურ მომსახურებას. სსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებისას ერთობლივ შემოსავალში ასახვას ექვემდებარება ამ მომსახურების საბაზრო ფასი.

სსკ-ის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის მიერ სხვა პირისაგან ქონების ან სარგებლის მიღების შემთხვევაში ერთობლივ შემოსავალში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

სსკ-ის 101-ე მუხლის თანახმად, დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სესხის გაცემისას, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით გადასახდელი პროცენტის შესაბამისი თანხა, როგორც სარგებელი, განიხილება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 28.01.2011 წ. №34 ბრძანებით, სსკ-ის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის წლიური საპროცენტო განაკვეთი დამტკიცებულია 20 პროცენტის ოდენობით.

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასის განსაზღვრისას გამოიყენება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის ოფიციალური წყაროები, აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საინფორმაციო ბაზა, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახადის გადამხდელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია, აგრეთვე სხვა სარწმუნო ინფორმაცია.

ნორმათა ერთობლიობიდან გამომდინარე საწარმოს მიერ უსასყიდლოდ (უპროცენტოდ) გაცემულ სესხზე, დამქირავებლის მიერ შესაძლებელია ერთობლივ შემოსავალში შესატანი თანხა განისაზღვროს 20%-იანი განაკვეთით შესაბამისად, ორივე ვარიანტში გადამხდელის მიერ განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების კორექტირების აუცილებლობა არ წარმოიშობა.

ორივე ვარიანტში გადამხდელის მიერ განსაზღვრული საგადასახადო ვალდებულებების კორექტირების აუცილებლობა არ წარმოიშობა.